Research

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი (III კვარტალი, 2020)

მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ

გამოცემა 11| 27.07.2020

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი PMC კვლევითი ცენტრის პროდუქტია. ბიულეტენში განვიხილავთ ეკონომიკურ კლიმატს საქართველოში, რომელიც შეაფასეს ქართველმა ეკონომისტებმა. ბიულეტენი ემყარება Ifo ინსტიტუტის მეთოდოლოგიას. საქართველოდან ინიციატივაში 50 ექსპერტი მონაწილეობს. კვლევა ჩატარდა 2020 წლის ივლისში.

2020 წლის მესამე კვარტალში საქართველოს ეკონომიკური კლიმატი მცირედით გაუმჯობესდა.

2020-ის მესამე კვარტალში ქართველმა ეკონომისტებმა უარყოფითად შეაფასეს ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობა; აღსანიშნავია, რომ ამ კვარტალში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება გაუმჯობესდა 2020 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, მაგრამ გაუარესდა 2019 წლის მესამე კვარტალთან შედარებით.

საქართველოს ეკონომიკური ვითარება მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში, ქართველმა ეკონომისტებმა ასევე უარყოფითად შეაფასეს. ნიშანდობლივია, რომ მომდევნო ექვსი თვის მოლოდონები გაუმჯობესდა 2020 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, მაგრამ ოდნავ გაუარესდა 2019 წლის მესამე კვარტალთან შედარებით.

საქართველოს ეკონომიკური კლიმატი (III კვარტალი, 2020)



დამატებით, გამოკითხვის ფარგლებში, ექსპერტებმა გააკეთეს პროგნოზი საქართველოს ძირითად მაკროეკონომიკური ინდიკატორებზე. შედეგების მიხედვით, 2020 წლის მესამე კვარტალში, **რეალური მშპ-ს მოსალოდნელი ზრდის პროგნოზი 2020 წელს შეადგენს -5%.** სხვა ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი შემდეგნაირია:

ინფლაცია

- მოსალოდნელია ინფლაციის **ზრდა** შემდეგ 6 თვეში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით;

გაცვლითი კურსი

- ქართული ლარი ამჟამად არის **ზედმეტად შეფასებული** აშშ დოლარის, ევროს და თურქული ლირას მიმართ და **ნაკლებად შეფასებული** რუსული რუბლის მიმართ.

ვაჭრობის მოცულობა

- მოსალოდნელია ექსპორტის მოცულობის **ზრდა** უახლოეს ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით.
- მოსალოდნელია იმპორტის მოცულობის **ზრდა** უახლოეს ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით.
- ექსპორტის მოცულობა სავარაუდოდ **გაიზრდება** უფრო მეტად ვიდრე იმპორტის მოცულობა, რაც გამოიწვევს სავაჭრო ბალანსის **გაუმჯობესებას** მომდევნო ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით.

დამატებითი შეკითხვები

2020 წლის მესამე კვარტალში ქართველმა ექსპერტებმა შეაფასეს საქართველოს ეკონომიკაში პოსტ-პანდემიური აღდგენის ეტაპი.

ექსპერტთა უმრავლესობის (60%) აზრით, ეკონომიკას 12-18 თვე დასჭირდება პრე-პანდემიური მდგომარეობის მისაღწევად. დამატებით, ეკონომისტებმა დაასახელეს ის დარგები, რომლებიც ყველაზე სენსიტიურები არიან პანდემიის მიმართ. გამოკითხვის შედეგად, ექსპერტების 93% ასეთ დარგად განსახლებისა და კვების ობიექტების სექტორი დაასახელა, ხოლო საცალო ვაჭრობა - 67%-მა.

აღსანიშნავია, რომ ქართველი ეკონომისტების 47%-მა მთავრობის მხარდაჭერას ბიზნესისადმი "ნაწილობრივ საკმარისად" აფასებს, 20%-მა მხარდაჭერის პაკეტის მოცულობა დადებითად შეაფასა, ხოლო 33%-მა - უარყოფითად. ამასთან, მთავრობის მხრიდან მოსახლეობის მხარდაჭერის პაკეტის მოცულობას (როგორც დაქირავებული, ასე თვითდასაქმებული პირების) ექსპერტთა 40% "ნაწილობრივ საკმარისად" აფასებს, 33%-მა მხარდაჭერა დადებითად მიიჩნია, ხოლო 27%-მა - უარყოფითად.

იქიდან გამომდინარე, რომ მთავრობის ვალი მნიშვნელოვნად იზრდება, კითხვარის ფარგლებში, ეკონომისტებს ასევე სთხოვეს დაასახელონ ინსტრუმენტები, რომლებიც მთავრობის ვალის შემცირებას შეუწყობს ხელს. ყველა ეკონომისტი მიუთითებს საჯარო მოხელეების რაოდენობის შემცირების აუცილებლობას, 47% ხაზს უსვამს ვალის უკეთეს მენეჯმენტს, ხოლო საინვესტიციო პროექტების შემცირება და ხელფასების შემცირება, შესაბამისად, შეარჩია 20%-მა და 33%-მა.

ეკონომისტების 60%-მა აღნიშნა, რომ 2020 წელს საშუალო უმუშევრობის დონე გაიზრდება და მიაღწევს 15-20% (2019 წელს უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელი 11.6% იყო). ამასთან, კითხვარის ფარგლებში, ექსპერტებს სთხოვეს შეაფასონ ტურიზმიდან მთლიანი შემოსავლის ცვლილება (როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ტურიზმიდან). 47%-მა აღნიშნა, რომ შემოსავალი შემცირდება 60-80%-ით, 27% ვარაუდობს შემცირებასა 40-60%-ით, ხოლო 80-100%-ით და 20-40%-ით შემცირება, მოელის შესაბამისად 13% და 7%.

მეთოდოლოგია

ინდექსი ემყარება მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის კვარტალურ ექსპერტულ შეფასებებს, ასევე, მომავალი ექვსი თვის მოლოდინებს. მასშტაბი მერყეობს –100 ქულიდან +100 ქულამდე. –100 ინდექსი ნიშნავს, რომ ყველა ექსპერტი აფასებს ეკონომიკურ მდგომარეობას, როგორც გაუარესებას (უარყოფითს), ხოლო +100 ინდექსით გაუმჯობესებას (დადებითს), 0 კი ნიშნავს ნეიტრალურს / უცვლელს.

ინდიკატორები	2016	2017	2018	2019	2020(Q1)
ნომინალური მშპ (მლნ. აშშ დოლარი)	14377.9	15086.5	17596.6	17736.6*	3780.3*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	3857.3	4046.8	4722.0	4763.5*	1017.1*
მშპ რეალური ზრდა (%)	2.8%	4.8%	4.8%	5.1%*	2.2%*
ინფლაცია	2.1%	6.0%	2.6%	4.9%	-
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1565.8	1894.5	1265.2	1267.7*	165.4*
უმუშევრობის დონე (%)	14.0%	13.9%	12.7%	11.6%	11.9%
საგარეო ვალი (მლნ. აშშ დოლარი)	4515.7	5177.4	5434	5741	5689

* წინასწარი მონაცემები